ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №6

ქ.თბილისი **04.09.2015**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (შემდგომში-თავმჯდომარე);
მაია მაღლაკელიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, სხდომის მდივანი (შემდგომში-მდივანი);
ლაშა მკურნალიძე - ა(ა)იპ - ასოციაცია ,,სკოლა - ოჯახი - საზოგადოების" აღმასრულებელი დირექტორი;
პავლე თვალიაშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი, შპს - განათლებისა და მართვის გუნდის დირექტორი;
თამარ ცირეკიძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ნატო ქობულაძე - ინკლუზიური განათლების ექსპერტი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ბაბუნაშვილი - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

მაია მზარელუა - შპს სენაკის მრავალპროფილიანი კერძო სკოლა მაია -1 -ის დირექტორი;
მ. გვარამია - ჭანტურია - შპს სენაკის მრავალპროფილიანი კერძო სკოლა მაია -1 -ის დირექტორის მოადგილე;
მეჰმეთ სალიჰ ქოჩ - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა - ლიცეუმის დირექტორი;
ნათია მაკარიძე - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა - ლიცეუმის დირექტორის მოადგილე;
ცირა გაბაიძე - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა - ლიცეუმის დირექტორის თარჯიმანი;
მთავარეპისკოპისი სტეფანე (კალაიჯიშვილი) - ა(ა)იპ - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის დირექტორი;
ნათია მიქაძე - ა(ა)იპ - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის სასწავლო ნაწილის გამგე;
დეკანოზი პეტრე (ვალერიან) გიორგაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მოციქულთა სწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის პრორექტორი;
ნინო მაღრაძე - ა(ა)იპ ჩვენი სკოლის სასწავლო აღმზრდელობით დარგის მენეჯერი;
მანანა ხუციშვილი - ა(ა)იპ ჩემი სკოლის დირექტორი;
გელა მანელიძე - შპს თბილისის არქიმედეს სკოლის დირექტორი;
ქეთევან ედიბერიძე - შპს თბილისის არქიმედეს სკოლის დირეტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში;
მზია დაუშვილი - შპს სკოლა პოლიგლოტის დირექტორი;
ნათია სორდია - შპს სკოლა პოლიგლოტის პედაგოგი;
ნიკო ჯანიბეგაშვილი - შპს ქორალის დირექტორი;
მადონა ლანჩავა - შპს ახალი ქართული სკოლის დირექტორი;
სოფიო სახვაძე - შპს ახალი ქართული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე;
ალექსანდრე ჯავახიშვილი - შპს ალბიონის დამფუძნებელი;
ვენერა ჩიფჩიური - შპს ალბიონის დირექტორის მოადგილე;
მარიამ ილურიძე - შპს ალბიონის დირექტორის მოადგილე;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნელი ნასყიდაშვილი;
თეა შაყულაშვილი;
ლევან ღურწკაია;
მიხეილ ტეფნაძე;
ნოდარ ანგურიძე;
ლიანა ჩარკვიანი;
ქეთევან ბოტკოველი;
მარიამ ხუციშვილი;
დავით ჭეიშვილი;

ზურაბ ჩხიკვაძე;
ლეილა გველესიანი.

თავმჯდომარემ გახსნა სხდომა 14:14 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. აღნიშნული დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - რევაზ აფხაზავა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა :
ა) შპს რწმენა;
ბ) შპს სენაკის მრავალპროფილიანი კერძო სკოლა მაია-1;
გ) შპს ქართულ-ევროპული სკოლა.
2. შპს „ოქროს აკვანში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთა სწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ-ქ.ბაღდათის წმ.კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართლმადიდებელი სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს ჩემი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს თბილისის არქიმედეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს პოლიგლოტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს ქორალისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
12. შპს ახალი ქართული სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილებისზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
13. შპს ალბიონისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა. მან აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო ა(ა)იპ - ქ.ბაღდათის წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართმადიდებელი სკოლა - გიმნაზიის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №832956), რომლის მიხედვითაც დაწესებულება ითხოვდა საკითხის გადადებას მომდევნო სხდომისთვის. ლაშა მარგიშვილმა დაამატა, რომ შპს პოლიგლოტი ითხოვდა საკითხის გადადებას დღის წესრიგის ბოლოს, რადგან დაწესებულების წარმომადგენელები ვერ ახერხებდნენ სხდომაზე დროულად გამოცხადებას.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების სამმართველოს უფროსმა, თამთა კობახიძემ საბჭოს განუცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 ივლისის სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესაბამისად, ცენტრმა დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა ლიცეუმისა და შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლასთან მიმართებით, საბჭოზე დასმული გარემოებების შესწავლის მიზნით. მან ასევე დაამატა, რომ წარმოების ფარგლებში აუცილებელი იყო ინფორმაციის მიღება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვა უწყებებისაგან, რაც ზრდიდა საკითხის შესწავლის ვადებს. თამთა კობახიძემ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა გადადებულიყო მომდევნო სხდომისათვის, რაც შეეხებოდა შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა ლიცეუმს, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ისინი მზად იყვნენ 2015 წლის 4 სექტემბრის საბჭოზე განხილული ყოფილიყო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხი.

საბჭომ ერთხმად გაიაზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის ახალი დღის წესრიგი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა:
ა) შპს რწმენა;
ბ) შპს სენაკის მრავალპროფილიანი კერძო სკოლა მაია-1;
გ) შპს ქართულ-ევროპული სკოლა.
2. შპს „ოქროს აკვანში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთა სწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ჩემი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს თბილისის არქიმედეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს ქორალისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
9. შპს ახალი ქართული სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
10. შპს ალბიონისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
11. შპს პოლიგლოტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, 2010 წლის 1 სექტემბრამდე ლიცენზირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება მიეცათ უფლება, 2015–2016 სასწავლო წლის დაწყებამდე განახორციელონ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა/სკოლებმა, და მიიღონ ამ კანონით გათვალისწინებული დაფინანსება. 2015–2016 სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ეტაპობრივი ავტორიზაცია. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 2011 წლის 19 მაისის №84/ნ ბრძანებით დაადგინა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ეტაპები". აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა და 2010 წლიდან ლიცენზირებულმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა ცენტრს ავტორიზაციის გასავლელად მიმართონ 2015 წლის 1 ივლისამდე. აღნიშნულ ვადაში ცენტრისათვის არ მოუმართავთ შემდეგ ლიცენზირებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს: ა) შპს რწმენა; ბ) შპს სენაკის მრავალპროფილიანი კერძო სკოლა მაია-1; გ) შპს ქართულ-ევროპული სკოლა.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრმა დაინტერესებული მხარეების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის მიზნით, განახორციელა შემდეგი პროცედურები: კანონმდებლობით დადგენილი წესით ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა საჯარო განცხადება საბჭოს სხდომის დღის წესრიგის, სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის თაობაზე, ამასთან, ყველა დაინტერესებულ პირს დაზღვეული ფოსტით დაეგზავნა წერილობითი შეტყობინება.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ შპს ქართულ-ევროპული სკოლის დირექტორმა, ივლიანე ნაჭყებიამ ცენტრის წარმომადგენელს სატელეფონო საუბარში განუცხადა, რომ 2014 წლის სექტემბრის თვეში მან ქ. ქუთაისის რესურს-ცენტრის მეშვეობით წერილობით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და შეატყობინა, რომ შპს ქართულ-ევროპული სკოლა (საიდენტიფიკაციო კოდი: 212921659) წყვეტდა საგანმანათლებლო საქმიანობას.

ლაშა მარგიშვილის განმარტებით, ანალოგიური დაადასტურა ცენტრის თანამშრომელთან სატელეფონო საუბარში შპს რწმენის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა - ცირა ქასრაძემაც. მან აღნიშნა, რომ დამფუძნებლის განმარტებით, შპს რწმენამ (საიდენტიფიკაციო კოდი: 445387046), ორი წლის წინ შეწყვიტა საგანმანათლებლო საქმიანობა.

შპს სენაკის მრავალპროფილიანი კერძო სკოლა მაია-1-თან მიმართებით ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება 2015 წლის 1 ივლისის კორესპონდენციით (ცენტრში რეგისტრაციის №631960) მიმართავდა საბჭოს და ითხოვდა ავტორიზაციის გადავადებას ერთი წლის ან 6 თვის ვადით. ლაშა მარგიშვილმა დაამატა, რომ როგორც მისთვის იყო ცნობილი, დაწესებულების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ საბჭოს სხდომაზე.

შპს სენაკის მრავალპროფილიანი კერძო სკოლა მაია-1-ის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს და განაცხადა, რომ დაწესებულების შენობა 2015 წელს დააზარალა სტიქიამ და შესაბამისად, სკოლა გადავიდა ახალ შენობაში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით მან ითხოვა ავტორიზაციის გადავადება მინიმუმ 6 თვით, სანამ მოხდებოდა ახალი შენობის მოყვანა სტანდარტებთან შესაბამისობაში.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პიროვნული და ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე საბჭოს ესმოდა დაწესებულების მდგომარეობა, თუმცა მას არ გააჩნდა უფლებამოსილება ვინმესთვის გადაევადებინა ავტორიზაცია, რადგან ეტაპები დადგენილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის №84/ნ ბრძანებით.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ეტაპების დადგენის თაობაზე ცვლილება შევიდა 2011 წლის 9 მარტს. აღნიშნული ეტაპები განისაზღვრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის №84/ნ ბრძანებით. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება,, დამტკიცებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით. შესაბამისად, დაწესებულებას ჰქონდა გონივრული ვადა, რომ პირობები შესაბამისობაში მოეყვანა აღნიშნული ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რწმენისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს რწმენას (საიდენტიფიკაციო კოდი: 445387046), გაუუქმდეს ავტორიზაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სენაკის მრავალპროფილიანი კერძო სკოლა მაია-1-სათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სენაკის მრავალპროფილიანი კერძო სკოლა მაია-1-ს (საიდენტიფიკაციო კოდი:439860072) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ევროპული სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ევროპული სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი:212921659) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა აღნიშნულის შესახებ მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება, რათა არ დაზარალებულიყო მათი კანონიერი ინტერესები.

2. შპს ოქროს აკვანში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნელი ნასყიდაშვილმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას უფიქსირდებოდა ხარვეზი შეფასების ნაწილში, სადაც პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით ექსპერტებმა დააფიქსირეს მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც ქულებით იყო შეფასებული. ადამიანური რესურსების ნაწილთან მიმართებითაც, სადაც დარღვეული იყო სტანდარტის 3.4 ნაწილი,დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ, ხელშეკრულებები არ იყო გაფორმებული საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების დაცვით. დოკუმენტი არ ითვალისწინებდა სამუშაო და დასვენების დროს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს და ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი შვებულების მიცემისა და ხანგრძლივობის წესს. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ ეს საკითხები არ რეგულირდებოდა არც შინაგანწესით და არც წესდებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ხელშეკრულებები და შინაგანაწესი. დაწესებულების წარმომადგენლის განამარტებით, ყველა შენიშვნა გათვალისწინებული იყო. რაც შეეხებოდა შეფასების ნაწილს, ეს წარმოადგენდა პედაგოგის შესცდომას და პირად პასუხისმგებლობას, რაზეც დაწესებულებამ უკვე მოახდინა შესაბამისი რეაგირება.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ დააზუსტა, შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებული იყო თუ არა შრომის არსებითი პირობები, რაზეც დაწესებულებამ განაცხადა, რომ უკვე ყველა ხელშეკრულება კანონმდებლობის შესაბამისად იყო გაფორმებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ოქროს აკვანისათვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ოქროს აკვანის (საიდენტიფიკაციო კოდი:206178027) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. მან დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე ცენტრის პოზიცია წარადგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების სამმართველოს უფროსმა, თამთა კობახიძემ. მან აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 ივლისის სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესაბამისად, ცენტრმა დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა ლიცეუმთან მიმართებით, საბჭოზე დასმული გარემოებების შესწავლის მიზნით. მან ასევე დაამატა, რომ წარმოების ფარგლებში აუცილებელი იყო ინფორმაციის მიღება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვა უწყებებისაგან, რაც ზრდიდა საკითხის შესწავლის ვადებს. დაწესებულების წარმომადგენლები ითხოვდნენ საკითხის განხილვას აღნიშნული სხდომისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა ლიცეუმს არსებითი ხარვეზი უფიქსირდებოდა სახელმძღვანელოებთან და თურქულ სექტორთან მიმართებით. შესაბამისად, დაწესებულებამ განაცხადა, რომ იგი შეცვლიდა ინგლისურენოვან სახელმძღვანელოებს ქართულეონოვანი წიგნებით და თურქულ სექტორზე სწავლებას გააუქმებდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა მოვიდოდა ქართლ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაწესებულებას თუ უფიქსირდებოდა სხვა ხარვეზი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება სხვა მხრივ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოითხოვა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების დირექტორს, რომელ სექტრზე ისწავლიდნენ ის მოსწავლეები, ვინც ამჟამად სკოლას თურქულ სექტორზე უფიქსირდებოდა. რაზეც სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მოსწავლეები ქართულ სექტორზე ისწავლიდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ საბჭოს შეიძლებოდა ემსჯელა ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე. შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრების თანხმობით ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში განხორციელებულიყო

აღნიშნულ დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი და გადამოწმებული ყოფილიყო, რამდენად შეესაბამებოდა დაწესებულება ავტორიზაციის სტანდარტებს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა ლიცეუმისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა ლიცეუმს (ს/კ:245618675) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

4. ა(ა)იპ - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ლევან ლურწკაიამ. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის ხარვეზები:

1. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

1.1 ა(ა)იპ - წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია მდებარეობდა ქ. ცაგერში დავით აღმაშენებლის ქ. №72. საჯარო რეესტის 25/06/2015 წ-ის ამონაწერში № 882015316841 ჩანს, რომ დაზუსტებული ფართი 897.00 კვ.მ და მასზე გაშენებული შენობა-ნაგებობა (უძრავი ქონების საკადასტრო კოდით № 89.03.21.001) იყო ცაგერის მინიციპალიტეტის საკუთრება. ცაგერის მუნიციპალიტეტმა უზუფრუქტის №7 ხელშეკრულებით (დამოწმების თარიღი 13/06/2015) არსებობის ვადით გადასცა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელი ეკლესიის - ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიას. თავის მხრივ, ეპარქიამ 2015 წლის 29 ივნისის №1 ხელშეკრულებით 49 წლის ვადით გადასცა ა(ა)იპ - წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიას (ხელშეკრულება საჯარო რეესტრში გატარებული არ არის). საჯარო რეესტრში რეგისტრირებული შენობა-ნაგებობა წარმოადგენდა ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული შენობა-ნაგებობის ნაწილს. მიშენებისა და ფართის გაზრდის შემდეგ რეესტრში მონაცემები არ განახლებულა. თავდაპირველ შენობაზე არსებული მიშენების გარდა, რეესტრში ასევე არ ფიქსირდებოდა მიწის ფართზე არსებული შენობა ნაგებობა №2, რომელშიც განთავსებული იყო სპორტული დარბაზი. ვიზიტის პერიოდში, დაწესებულების დირექციასთან ინტერვიუერებით დადგინდა, რომ აღნიშნული პროცესი დაწყებულია, არსეობს აზომვითი ნახაზები და დაწესებულებამ მიმართა საჯარო რეესტრის მონაცემების განახლების მიზნით.

1.2 ვიზუალური დათვალიერებით შენობაში არსებობდა 12 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახი, კვების ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოთახი, მუსიკის ოთახი, სააქტო დარბაზი. აღნიშნული საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო სასკოლო ინვენტარით: ორადგილიანი მერხებით (91 ერთეული), სკამებით, დაფებით, ადმინისტრაციისათვის საჭირო მაგიდებით და სკამებით. დაწესებულების წარმოამდგენელთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ დაწესებულება აპირებდა შეეძინა

ერთადგილიანი მერხები, თუმცა ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებას უდასტურდებოდა მხოლოდ ორადგინილიანის მერხების ფლობა.

1.3 სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენდა 3835 ერთეულს, სასკოლო სახელმძღვანელო 1519 ერთეული, მხატვრული 1895 ერთეული, რუსულენოვანი ლიტერატურა 173 ერთეული და დარგობრივი 246 ერთეული. ადგილზე ფიქსირდებოდა სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ყველა კლასის, ყველა საგნის თითო სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურა. წიგნების ნაწილი დამოწმებული იყო ბეჭდით და დგინდებოდა მათი მფლობელობა, თუმცა არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხული ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნში. სკოლას ჰყავდა ბიბლიოთეკარი, რომლის ფუნქციები გაწერილი იყო სკოლის შინაგანაწესში. ბიბლიოთეკართან ინტერვიურებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში ამჟამად მიმდინარეობდა წიგნების შესაბამისი წესით დამუშავება.

1.4 სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისა და სკოლის მართვისათვის სკოლას ჰქონდა 9 კომპიუტერი, ყველა კომპიუტერი უზრუნველყოფილი იყო ინტერნეტით. სკოლას აგრეთვე ჰქონდა 1 პროექტორი, 2 ასლგადამღები (კომბაინი). სკოლის ვებგვერდი დამუშავების პროცესში იყო, დაწესებულებას ინტერნეტი მიეწოდებოდა შპს "მაგთიკომისგან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

1.5 წესრიგის დაცვის უზრუნველყსაყოფად სკოლას ჰქონდა სართულების მიხდვით მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლის ტერიტორიას იცავდა ღამის დარაჯი. შენობა აღჭურვილი იყო სამეთვალყურეო კამერებით, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, დამონტაჟებული იყო 5 სამეთვალყურეო ვიდეოთვალი, სკოლის სამ მხარეს (გარე პერიმეტრი) და კომპიუტერულ კლასში (CAT-ის გამოცდისთვის). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლის საკუთრებაში არსებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა არ შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრული ვიდეომეთვალყურეობის სისტემების ტექნიკური პარამეტრების.

მატერიალურ რესურსებთან მიმართებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ შეიძინა მერხები და მას შემდეგ შეიცვალა სტანდარტი. შესაბამისად, რადგან მერხების ცვლილება ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, დაწესებულებამ აღნიშნულის განხორციელება ვიზიტის პერიოდისათვის ვერ მოახერხა. რაც შეეხებოდა ადაპტირებულ გარემოს, დირექტორის განმარტებით დაწესებულებამ სველი წერტილები მოარგო სპეციალური საგანმანათლებლო საჭროების მქონე მოსწავლეებს, თუმცა აღნიშნულის დამდასტურებელი ფოტომასალა თან არ გააჩნდა.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ვიზიტის პერიოდში დაიწყო საპირფარეშოების ადაპტირება.

ბიბლიოთეკასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა წიგნების სათანადოდ დამუშავება. მან ასევე დაამატა, რომ ცაგერი განიცდიდა შესაძლებლობების ნაკლებობას და საჭირო იყო კადრის მოძებნა სხვა ქალაქებში, რაც დროსთან იყო დაკავშირებული.

კამერებთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უკვე შეკვეთილი იყო შესაბამისი პარამეტრების მქონე კამერა, ასევე დამუშავების პროცესში იყო ვებგვერდი. დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა სათანადო ხელშკერულება.

2. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების ვადად განსაზღვრული იყო 2015 წლის 01 სექტემბერი. გიმნაზიის დირექტორის განმარტებით, მოქმედ ხელშეკრულებებს ვადა გაუგრძელდებოდა პედაგოგიური საბჭოს სხდომის შემდეგ.

2.2 მასწავლებლებთან ინტერვიუირებით დაგდინდა, რომ ისინი ახდენენ საკუთარი საჭიროების იდენტიფიცირებას და დასახელდა, პრობლემური მიმართულებები, რომლებშიც ისურვებდნენ კომპეტენციების განვითარებას. სასურველია, გიმნაზიამ შექმნას მექანიზმი და მოიძიოს საშუალება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებიათვის საჭირო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელიელებისათვის.

საბჭოს წევრი, თამარ ცირეკიძე დაინტერესდა საღვთო სჯულის პროგრამით, რაზეც ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ გაეცნო პროგრამას და დამაატა, რომ მისი გამოცდილებით, მსგავსი ტიპის სკოლებში სწავლება მიმდინარეობა ერთი სახელმძღვანელოთი. ეს იყო საგანი სამოქალაქო ცნობიერების შესახებ - რელიგიის ისტორიის ელემენტებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა რაოდენობის 91-ით გასაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1

საბჭოს გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა ლაშა მკურნალიძემ.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 242576636) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 91-ით.

5. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთა სწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ ავტორიზაციის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა - ნოდარ ანგურიძემ და ლიანა ჩარკვიანმა

ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში საგანმანათლებლო პროგრამებთან და ადამიანურ რესურსებთან მიმართებით არსებითი ხასიათის შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიდში სველი წერტილი არ ჰქონდა ადაპტირებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს პრობლემა უკვე მოგვარებული იყო და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, თანდართული სურათებით.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ, განაცხადა, რომ ეს არ იყო საკმარისი და არ შეესაბამებოდა სტანდარტს.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში არც ვებგვერდი იყო ჩართული, თუმცა ამ დროისთვის უკვე ფუნქციონირებდა. მისი თქმით, დაწესებულება ითხოვდა კონტინგენტის 234 მოსწავლის ოდენობით განსაზღვრას, რისთვისაც დამატებითი მერხები ესაჭიროებოდათ, კომპიუტერების რაოდენობა კი შეადგენდა 21-ს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში მის ბალანსზე ირიცხებოდა 218 მერხი თუმცა ამ დროისთვის უკვე შეძენილი იყო დამატებით რესურსი და წარმოდგენილი ჰქონდათ ზედნადები, თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი და მიღება-ჩაბარების აქტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთა სწორის ნინო ქართველთაგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 234-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთა სწორის ნინო ქართველთაგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლურ გიმნაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 429649044) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 234-ით.

15:10 საათზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნატო ქობულაძე.

6. შპს ჩემი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, აღნიშნული საკითხის განხილვისას განაცხადა აცილების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ ავტორიზაციის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ნოდარ ანგურიძემ და ნინო ბალანჩივაძემ. მათ აღნიშნეს, რომ დარღვევები არც ერთ სტანდარტში არ დაფიქსირებულა. სკოლა იყო ახალი, წარმოდგენილი ჰქონდა საინტერესო პროგრამა. დაწესებულების მისია მიზნად ისახავდა მოსწავლისთვის წიგნისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ამისათვის, პროგრამაში გათვალისწინებული იყო კითხვისა და რიტორიკის კურსები.

ერთადერთი, რაზეც ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს, იყო ის, რომ სკოლას ჰქონდა 8 საკლასო ოთახი, 130 ინდივიდუალური მერხი. ექსპერტებმა ვიზიტის განმავლობაში ვერ ნახეს მერხები და სკამები, თუმცა არსებობდა ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც, დაწესებულებას 30 აგვისტომდე მიეწოდებოდა აღნიშნული ინვენტარი. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება მხოლოდ ერთი საფეხურის განხორციელებას გეგმავდა.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის ვებგვერდი უფასო სერვერზე იყო განთავსებული და შიდა რესურსით გაკეთებული, რაც მისასალმებელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის შემთხვევაში სურდა მოსწავლეთა კონტინგენტი განსაზღვრულიყო 130 მოსწავლით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჩემი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა კონტინგენტის 130-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ჩემს სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 406149029) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 130-ით.

7. შპს თბილისის არქიმედეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ ავტორიზაციის ჯგუფის დასკვნას. მან დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ქეთევან ბოტკოველმა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დაწესებულების მისია -„სკოლის უმთავრესი მისიაა, განახორციელოს განათლების სფეროში სახელმწიფო იდეოლოგიის რეალიზაცია. ამასთან ერთად, ტექნიკური განათლებით დაინტერესებულ მოსწავლეებს მისცეს მაღალი ხარისხის პროფილური განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, აუმაღლოს მოტივაცია საინჟინრო-ტექნიკური დარგების შესწავლისადმი. ადრეულ ასაკში გააცნოს მათ მეცნიერული მუშაობის მეთოდები და განუვითაროს კრიტიკული აზროვნება. დაუნერგოს უცხო ენების მაღალ დონეზე სწავლების პრაქტიკა, რის შედეგადაც, მოსწავლეებს მიეცემათ სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის უცხოურ ენებზე გაცნობის შესაძლებლობა. ხელი შეუწყოს და მოამზადოს მოსწავლეები, როგორც ეროვნული, ასევე საზღვარგარეთის მაღალი რეიტინგის მქონე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებისთვის". ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბჭოს ასე ნათელი წარმოდგენა შეექმნებოდა დაწესებულების შესახებ.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობა ოჯარით იყო აღებული. მან დაამატა, რომ ნაგებობას ახლდა მეორე შენობა - საქვაბე, რომლის გარეშეც ვერ გათბებოდა, მაგრამ აღნიშნული რეესტრში არ იყო გატარებული. სხვა შენიშვნები ექსპერტის მხრიდან არ დაფიქსირებულა.

დაწესებულებამ საბჭოს წარმოუდგინა დოკუმენტი, რის მიხედვითაც დასტურდებოდა, რომ საჯარო რეესტრში უკვე განახლებული ინფორმაცია იყო დაფისირებული.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ძალიან პატარა იყო და წიგნების მწირე რაოდენობას მოიცავდა.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა ამასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ყველა სახელმძღვანელო ადგილზე იყო და კიდევ იგეგმებოდა წიგნადი ფონდის შევსება.

ექსპერტმა ლიანა ჩარკვიანმა დაამატა, რომ ბიბლიოთეკაში იყო უახლესი გამოცემის წიგნები და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ბიბლიოთეკასთან არსებული ფოიეს გამოყენება სამკითხველოდ.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა ლაბორატორიები თუ იყო აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით.

ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, სხვა სკოლებთან შედარებით რაში მდგომარეობდა მისი განსხვავებულობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლა აქცენტს აკეთებდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაზე. მან ასევე დაამატა, რომ სურდა მოსწავლეთა კონტიგენტის 120-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის არქიმედეს სკოლის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა კონტიგენტის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის არქიმედეს სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი:405101562) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

8. შპს ქორალისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ ავტორიზაციის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები -განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე ჰყავდა ამჟამად სკოლას., რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კონტინგენტი განსაზღვრული ჰქონდათ 400 ადგილით, ამ ეტაპზე ჰყავდათ 391 მოსწავლე და სურდათ ადგილების რაოდენობის გაზრდა 50-ით.

ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა, აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულა, მდგომარეობა გაუმჯობესებული იყო, გაზრდილი იყო სახელმძღვანელოების რაოდენობა. მისი თქმით, დაწესებულებას შეეძლო 450-ზე მეტი მოსწავლის მიღება, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მერხების ფლობის დოკუმენტი ვერ იპოვეს, მხოლოდ 50 ადგილი მოითხოვეს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქორალისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის შესაბამისად პირველი და მეორე პუნქტების „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს ქორალს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206114195) მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 450-ით.

9. შპს ახალი ქართული სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ ავტორიზაციის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები -განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ხარვეზები არც ერთ სტანდარტში არ დაფიქსირებულა. მან დაამატა, რომ სკოლას ჰყავდა 70 მოსწავლე და სურდა 40 ადგილის დამატება, საერთო ჯამში, კონტინგენტის განსაზღვრა - 110 ადგილით. ექპრტის თქმით, მართალია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სკოლას არ გააჩნდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ იყო მოთხოვნილი, რადგან დაწესებულება ახორციელებდა მხოლოდ დაწყებით საფეხურს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ქართული სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის შესაბამისად პირველი და მეორე პუნქტების „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს ახალ ქართულ სკოლას (ს/კ: 404909532) მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 110-ით.

საბჭოს სხდომაზე 15:46 საათზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 15:53 საათზე.

10. შპს ალბიონისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ აცილება არ ჰქონდა.
თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ ავტორიზაციის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები -განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზები არც ერთ სტანდარტში არ დაფიქსირებულა. მან განაცხადა, რომ დაწესებულების კონტინგენტი განსაზღვრული იყო 600 ადგილით, ამჟამად ჰყავდათ 591 მოსწავლე და ითხოვდნენ 50 ადგილის დამატებას. სკოლა მდებარეობდა ძმები ორბელიანების ქ. N7-ში, მიწის ნაკვეთის ფართი იყო 15079 კვ. მ. და შენობა-ნაგებობებისა - 6422.59 კვ. მ.

თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა, დაედასტურებინა, რომ სკოლას ჰქონდა კონტინგენტის 50-ით გაზრდის შესაძლებლობა. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლას შეეძლო 650 მოსწავლის მომსახურება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ალბიონისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის შესაბამისად პირველი და მეორე პუნქტების „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს ალბიონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206217440) მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 110-ით.

10. შპს პოლიგლოტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ ავტორიზაციის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა, ნინო ბალანჩივაძემ, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ჯგუფი შედგებოდა სამი წევრისგან - ნინო ბალანჩივაძე, ქეთევან ბოტკოველი, მარიამ ხუციშვილი.

ექსპერტმა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შპს პოლიგლოტს მფლობელობაში ჰქონდა 1800 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული 298 კვ.მ.-ის შენობა ნაგებობა. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სკოლის შენობის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც, შენობას დაემატა მესამე სართული, არსებულ სართულებს - ფართი, რამაც, საერთო ჯამში შენობის ფაქტობრივი ფართი 1024 კვ. მ. - მდე გაზარდა. თუმცა, რემონტის საბოლოო დამთავრება, პროექტის თანახმად 15 ოქტომბრისთვის იყო დაგეგმილი, რის გამოც, შენობის რეესტრში გატარება, კანონმდებლობიდან გამომდინარე, მანამდე ვერ ხერხდებოდა.

სკოლის დამფუძნებელმა და დირექტორმა, მზია დაუშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა 2006 წლიდან, ახორციელებდნენ სწავლებას ორ საფეხურზე - საბაზოსა და საშუალოზე. დაწესებულება მდებარეობდა ნაძალადევის რაიონში, ყოფილ მე-8 საავადმყოფოსთან. მისი თქმით, პროექტი გაზაფხულზე გაკეთდა, 15 ოქტომბერი იყო დათქმული რემონტის დასრულებისთვის, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები მუშაობდნენ, რათა 14 სექტემბრამდე მოსწრებულიყო სარემონტო სამუშაოები.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰყავდათ 97 მოსწავლე. მან წარმოადგინა ფოტოები, სადაც ასახული იყო შენობის მდგომარეობა რემონტის ამჟამინდელ ეტაპის შესაბამისად. დაწესებულებსი წარმომადგენელმა დაამატა, რომ სამშენებლო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 10 სექტემბერს, რემონტი ბოლო ეტაპზე იყო - იღებებოდა კედლები და იგებოდა ლამინატი.

ექსპერტმა, ნინო ბალანჩივაძემ აღნიშნა, რომ ორი სართული გაკეთებული იყო, კიბეებს მოაჯირები არ ჰქონდა ვიზიტის დროს თუმცა ფოტოებიდან ჩანდა, რომ ეს პრობლემაც მოგვარებული იყო. მან ასევე დააატა, რომ პრობლემას წარმოადგენდა ის გარემოება, თუ რა ფართი ჩაეთვლებოდა დაწესებულებას რემონტიდან გამომდინარე, რადგან სწორედ აქედან უნდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა კონტინგენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჯერ უნდა დასრულებულიყო რემონტი სრულად, შემდეგ მოსულიყო მერიის წარმომადგენელი, ენახა ფართი და ბოლო ეტაპი იქნებოდა შენობის დარეგისტრირება საჯარო რეესტრში.

ექსპერტმა, ნინო ბალანჩივაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა 299 მერხი, ფეხბურთის სტადიონი, პატარა დარბაზი მაგიდის ჩოგბურთისათვის და ჭადრაკისთვის. მისი თქმით,

სხვა სტანდარტებში შენიშვნები არ დაფიქსირებულა, დაწესებულებას ჰყავდა ძლიერი ადამიანური და მატერიალური რესურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ თავიდან სკოლას მერიასთან ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება, 2010 წელს ეს შენობა 120000 დოლარად იყიდა შპს-მ და 2012 წელს სკოლამ ავტორიზაცია გაიარა, რემონტის ხარჯები 100 000 დოლარის ოდენობის იყო და ოთხი საბანკო სესხი დასჭირდა ყველაფრის დაფინანსებას, რაც საკმაოდ დიდი ხარჯი იყო. მან საბჭოს წევრებს მიმართა, რომ მიეცათ გონივრული ვადა, რათა დარეგისტრირებულიყო აღნიშნული ფართი. დაწესებულებას მოთხოვნილი ჰქონდა კონტინგენტის 300 ადგილით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პოლიგლოტის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს პოლიგლოტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 200160798) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა მოთხოვნით, სასწავლო წლის დაწყებისთვის, მონიტორინგის გზით, გადამოწმებულიყო დაწესებულების მდგომარეობა და მზაობა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:35 საათზე.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
მაია მაღლაკელიძე